

დამტკიცებულია  
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით №22.  
10.06.2014წ. ოქმი №5

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

(კოდიფიცირებული)

**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი (შემდგომში – ფაკულტეტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სასწავლო პროგრამებისა და თანამედროვე კურიკულუმის შესაბამისად, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, სასწავლო პროცესში სიახლეების დანერგვის მიზნით.
2. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო (საგანმანათლებლო) პროგრამებს.
4. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი, რომლითაც სარგებლობს დადგენილი წესით.
5. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

**მუხლი 2. ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები**

1. ფაკულტეტის ძირითადი მიზნებია:

ა) ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულებით ინტეგრირებული, სისტემური, ფუნდამენტური ცოდნის, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარების მქონე საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სწავლების პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.

ბ) ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაცია პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებაზე, ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების და გლობალური ტენდენციების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ინიცირება ან/და ხელშეწყობა.

2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია

ა) ქვეყნის ეკონომიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების სისტემის ორგანიზაცია; პოტენციურ დამსაქმებლებთან კავშირების გაღრმავება ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;

ბ) სტუდენტებისათვის სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის საუკეთესო პირობების შექმნა;

გ) სასწავლო პროგრამების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი კურიკულუმების, სილაბუსების შემდგომი სრულყოფის გზით;

დ) სასწავლო პროცესის მენეჯმენტის მუდმივი გაუმჯობესება;

ე) სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობა;

ვ) თანამედროვე ეკონომიკური და ბიზნესის ლიტერატურის, მათ შორის პერიოდული სამეცნიერო გამოცემების და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა;

ზ) საერთაშორისო და რეგიონული კონფერენციების ორგანიზება;

თ) ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია;

ი) ეკონომიკური და ბიზნესის განათლების დასავლური მოდელების ანალიზი და მათი მიღწევების იმპლემენტაცია;

კ) სამოქალაქო საზოგადოებისა და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ფასეულობების დანერგვისა და განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

### **მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა**

ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/სპეციალისტი, ფაკულტეტის სპეციალისტი).

### **მუხლი 4. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები**

1. ფაკულტეტი აერთიანებს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულებებს, დარგებს და შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

2. თითოეულ პროგრამას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და რომელიც ვალდებულია პასუხი აგოს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

### **მუხლი 5. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი**

ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დებულების მიღებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 6. მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)**

ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მეშვეობით: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

#### **მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭო**

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში-საბჭო), რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც შეადგენენ საბჭოს შემადგენლობის 1/4-ს.
2. საბჭო თავისი წევრებიდან ირჩევს მდივანს.
3. საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ (საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა).
4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იყოს მისი ყველა წევრი.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა, გაუქმება ან შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამას მოითხოვს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 2/3 დეკანის მიერ შეტანილი წერილობითი განცხადების საფუძველზე.
6. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე (დეკანი) და მდივანი.
7. საბჭოს თავმჯდომარე აკონტროლებს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას და მოახსენებს საბჭოს წევრებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ.
8. დეკანის ან მისი მოადგილის დროებით არ ყოფნის შემთხვევაში, გადაუდებელი საჭიროებისას საბჭოს სხდომის მოწვევის და წარმართვის უფლება აქვს უზუცეს წევრს. რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს იმავე სხდომაზე საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

#### **მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება**

ფაკულტეტის საბჭო:

- ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;
- ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს დეკანს;

- გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
- ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
- ზ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელისაქმიანობის განხორციელების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთაბაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
- თ) წელიწადში ორჯერ ისმენს დეკანის საქმიანობის ანგარიშს;
- ი) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;
- კ) ახორციელებს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და ფაკულტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
- ლ) განსაზღვრავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ კონტიგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას.
- მ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს.

## **მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების პროცედურული საკითხები**

1. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ფუნქციონირებს ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოების ორგანიზებაში. ფაკულტეტის საბჭოს მდივანის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.
2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ამზადებს საბჭოს მდივანი დეკანის მითითებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეუძლიათ საბჭოს მდივანისათვის წერილობით დღის წესრიგის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხების მიწოდება. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თარიღამდე 3 სამუშაო დღით ადრე საჯარო ადგილას აქვეყნებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს.
3. ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს.

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრი ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსს.
5. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტი სტუდენტური თვითმმართველობის წწევრის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსს.
6. ფაკულტეტის საბჭო, როგორც წესი, სხდომებს ატარებს თვეში ერთხელ. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 1/3 მოთხოვნით.
7. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის შესასწავლად შექმნას სპეციალური კომისია.
8. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა. გარდა იმ შემთხვევისა როცა განიხილება დეკანის არჩევის და დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი.
9. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის თაობაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

#### **მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანი**

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს 4 წლის ვადით.
2. დეკანად შეიძლება აირჩეს ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი
3. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს.
4. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
5. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას აქვეყნებს ფაკულტეტის საბჭო კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
6. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა და დეკანის არჩევნების ჩატარების თარიღი.
7. განცხადება დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და შესაბამის ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილას.
8. დეკანობის კანდიდატების რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა.
9. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.
10. დეკანის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას ფაკულტეტის საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.
11. დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
12. თუ დეკანობის ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების სათანადო რაოდენობა, გაიმართება მეორე

ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი თარიღი და არჩევნები ტარდება იმავე წესით.

13. უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის, დეკანის მოადგილის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სპეციალისტობის კანდიდატებს ამ დებულებით განსაზღვრულ საარჩევნო ვადაში ჩათვლებათ ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ უნივერსიტეტში ეკავათ, შესაბამისი თანამდებობები ზედიზედ ორი უფლებამოსილების სრული ვადით, მათ შორის, როგორც მოვალეობის შემსრულებლებს.

### **მუხლი 11. დეკანის უფლებამოსილება**

1. დეკანი:

- ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;
- ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებისთვის;
- გ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- დ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
- ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
- ვ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენებისთვის;
- ზ) წელიწადში ორჯერ აკადემიურ საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს;
- თ) ახორციელებს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ფაკულტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დეკანი, კომპეტენციის შესაბამისად, ინდივიდუალური საკითხების გადასაწყვეტად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, რომლითაც რეგულირდება ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი საკითხი.

### **მუხლი 12. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე**

- 1. დეკანს ჰყავს მოადგილე, რომლის თანამდებობრივი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ დებულებით.
- 2. დეკანის მოადგილედ შეიძლება აირჩეს ამავე ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დამატებით კრიტერიუმებსა და კანდიდატის მიერ არჩევნებში წარმოსადგენ დოკუმენტაციის ნუსხას შეიმუშავებს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
- 3. დეკანის მოადგილის კანდიდატურებს დეკანი წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს ირჩევს ფარული კენჭისყრით არა უმეტეს 4 წლის ვადით.

4. დეკანის მოადგილის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

### **მუხლი 13. დეკანის მოადგილის უფლებამოსილებანი**

დეკანის მოადგილე:

- ა) დეკანთან ერთად ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს ფაკულტეტზე შრომითი დისციპლინისა და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ორგანიზებულად წარმართვას;
- ბ) მონაწილეობას ებულობს სასწავლო გეგმების, დატვირთვების შედგენასა და კრედიტების განაწილებაში, სასწავლო ცხრილების შედგენაში;
- გ) დეკანის არყოფნის შემთხვევაში მას ეკისრება პასუხისმგებლობა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის სწორად მართვაში.
- დ) დეკანის დროებით არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეკანის უკლება-მოვალეობას.

### **მუხლი 14. ფაკულტეტის სპეციალისტი**

სპეციალისტი:

- ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე არსებული სტუდენტთა პირადი საქმეებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოებას და დაცვას;
- ბ) მომსახურეობას უწევს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- გ) ასრულებს დეკანის ცალკეულ დავალებებს.

### **მუხლი 15. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება არსებული კანონმდებლობითა და ფაკულტეტის დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრში ერთხელ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მუშაობის შედეგებს.
5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი (ხელმძღვანელი და სპეციალისტი) შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

6. დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სპეციალისტის კანდიდატურ(ებ)ს;
7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სპეციალისტს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით.
8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და სპეციალისტის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

#### **მუხლი 16. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო**

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
2. უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე შესაბამისი დარგის/სპეციალობის მიხედვით იქმნება სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს/საბჭოების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
3. ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები - სპეციალობის მქონე პირების წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმისა და წესის შესაბამისად.
5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

#### **მუხლი 17. აკადემიური პერსონალის შემადგენლობა**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
4. ასისტენტი, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.
5. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წესდებით დადგენილი წესით.
6. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.
7. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური



თანამდებობის დაკავების გარეშე.

8. ფაკულტეტი უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

### **მუხლი 18. ფაკულტეტის პერსონალის პასუხისმგებლობა**

1. ფაკულტეტის პერსონალი პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე, საქმიანობის პროცესში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე და მისი მიზეზით უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზარალისათვის. ჩადენილი ქმედებისათვის პერსონალი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და ხელშეკრულების პირობები.

### **მუხლი 19. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი**

1. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩარიცხა და სწავლობს უნივერსიტეტის ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

### **მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა**

1. ფაკულტეტის ბაკალავრიატში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.
2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
3. მაგისტრანტობის კანდიდატების (შემდგომში „კონკურსანტი“) საბუთების მიღებას ახორციელებს უნივერსიტეტის სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური.
4. კონკურსანტის ჩარიცხვა სამაგისტრო პროგრამაზე ხდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტში შესაბამის სპეციალობაში წერიითი გამოცდის შედეგების საფუძველზე.
5. გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100-ბალიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (ქულათა მინიმუმ

51%). სპეციალობის გამოცდაში კონკურსანტთა ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომელიც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

6.საკონკურსო გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ.

7.კონკურსანტთა საბუთების მიღების, დარგობრივი კომისიების მუშაობის რეგლამენტს, გამოცდების განრიგს, საგამოცდო შედეგების გამოქვეყნებისა და გასაჩივრების წესს, სამაგისტრო პროგრამების ამოქმედების პირობებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

8. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი რეგულირდება ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

9. ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციებით.

11. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება პროფესიული ტესტირების საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც გათვალისწინებულია რამდენიმე საფეხური, მაღალ საფეხურებზე ჩარიცხვა ხდება საფეხურიდან საფეხურზე გადასაყვანი გამოცდების ჩაბარებით ან არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების გზით.

12. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციებითა და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით.

13.სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციებით.

## **მუხლი 21. გარდამავალი დებულებები**

1. ფაკულტეტის გახსნის, რეორგანიზაციის და დახურვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

2. ფაკულტეტის დებულების პროექტს, ასევე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

3. ფაკულტეტის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

## **შეტანილია ცვლილებები და დამატებები:**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2015 წლის 24 ივნისის N26 დადგენილებით;

2019 წლის 11 დეკემბრის N52 დადგენილებით.